საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი – ს. ი. უ. ს.

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.02.2019

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: #027/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის მომართვა განხორციელებული – ადვოკატი გ. გ. /სიითი №/

ადვოკატის წარმომადგენელი: ვ. გ. /სიითი №/

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ გ. გ.-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის შინაარსი:**

1.1 2019 წლის 27 თებერვალს ეთიკის კომისიას მომართა ს. ი. უ. ს-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის მიხედვით, ს. ი. უ. ს.-ს მდივანმა განიხილა ს. ი. უ. ს.-ში 2019 წლის 29 იანვარს შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე, რომლის თანახმად ადვოკატ გ. გ.-ს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ე. გ.-ისათვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები ჩაითვალა „საერთო სასამართლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის XII[1] თავის მოთხოვნათა დარღვევად და გ. გ. დაჯარიმდა 200 ლარით.

1.3 ს. ი. უ. ს.-ს მოთხოვნაა, ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ ეთიკის კომისიის მხრიდან გამოყენებული იქნას კანონით გათვალისწინებული ღონისძიება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტიდან გამომდინარე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 14 მარტს, ადვოკატმა გ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, ადვოკატმა ასევე მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებში.

2.2 ადვოკატ გ. გ.-ს განმარტებით, იგი უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ნ. გ.-ს პერიოდიდან არასამთავრობო ორგანიზაციის „ა. და ი. ს. ო.-ს ეგიდით“ არის საქართველოს უზენაეს სასამართლოში არსებული სამეცნიერო - საკონსულტაციო, სისხლის სამართლის, კანონპროექტებისა და კაზუსების განხილვის საბჭოს წევრი, სადაც ხშირად იცვლებოდა აზრი მოსამართლეებთან და პროკურორებთან. კონფერენციებზე და ტრენინგებზე მოსამართლეები თავად იძლევიან თავიანთ საკონტაქტო მონაცემებს იმ მიზნით, რომ კონსულტაციის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათთან დაკავშირება. 2015 წლამდე მოსამართლე ე. გ. ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, იგი ხვდებოდა მას ადვოკატთა კორპორაციულ საღამოებზე და სწორედ, აღნიშნული საღამოდან ჰქონდა გ. გ.-ს მოსამართლის ტელეფონის ნომერი. ადვოკატის განმარტებით, მას დადებითი დამოკიდებულება აქვს მოსამართლის მიმართ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ არის მისი მეგობარი და ჰყავთ 119 საერთო მეგობარი.

2.3 ადვოკატი გ. გ. მოსამართლე ე. გ.-სთან დაკავშირებას, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ცდილობდა. მას კონსულტაციის მიღება სურდა ერთ სამოქალაქო საქმეზე და რადგან მოსამართლე მის შეტყობინებებს არ პასუხობდა, შემდგომ შეტყობინებებში უფრო მეტად უკონკრეტებდა საქმის არსს. მოსამართლეს ადვოკატის შეტყობინებებზე პასუხი არ დაუბრუნებია და არც სხვა ფორმით დაკავშირებია, რასაც მოსამართლე საკუთარ განცხადებაშიც ადასტურებს. ადვოკატმა გ. გ.-მ საკასაციო საჩივარი წარადგინა 2019 წლის 11 იანვარის, რის შემდეგაც უშუალოდ მოსამართლე ე. გ.-სთან კომუნიკაციას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, მას შემდეგ რაც მოსამართლის თანაშემწეს დაურეკა სამსახურის შიდა ნომერზე (XXX) და მისგან მიიღო პასუხი, რომ მოსამართლე არავის არ ხვდებოდა, მოსამართლესთან დაკავშირება აღარ უცდია.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომუნიკაციის აკრძალვა ეხება საქმის განმხილველ მოსამართლეს, მოსამართლე ე. გ.-ის წარმოებაში კი არ იყო გ. გ.-ს საქმე, რაც დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მისი წარმოდგენილი პირის - მ. მ.-ს მიმართ მიღებული განჩინებიდან, სადაც საქმის განმხილველ მოსამართლეებად მითითებული არიან ბ. ა., ზ. ძ. და პ. ქ..

2.5 ადვოკატი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში დახასიათებულია დადებითად და სასამართლოს მიერ დაჯარიმებულია მხოლოდ სიმბოლური თანხით - 200 ლარით.

2.6 ადვოკატი გ. გ. აღნიშნავს, რომ იგი 15 წელზე მეტია ადვოკატია, პატიოსნად ემსახურება ადამიანის უფლებებს და მართლმსაჯულებას, ჰყავს ოჯახი, წარსულში კანონთან კონფლიქტი ან გაუგებრობა არასდროს არ ჰქონია და ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ არასოდეს ყოფილა საჩივარი შესული.

იგი ვერც წარმოიდგენდა, რომ მოსამართლისათვის შეტყობინებების გაგზავნით არღვევდა კანონს. აღნიშნული გადაცდომას ადვოკატი გაუგებრობად და წინადაუხედავ მოქმედებად აფასებს, რასაც ნანობს და დისკომფორტის შექმნისთვის მზად არის ბოდიში მოუხადოს მოსამართლე ე. გ.-ს. ადვოკატი ითხოვს, რომ მიმართ არ იქნეს გამოყენებული დისციპლინური სახდელი და კომისიამ გამოიყენოს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 26 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, გ. გ.-ს მიერ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში გამოყენებული ტერმინები: „ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ რა... დაგვიკმაყოფილოთ საკასაციო საჩივარი.. მოსარჩელე მ. მ.-ს,.. მოპასუხე სსიპ ქონების მართვის სააგენტო“ პირდაპირ მიუთითებს, რომ გ. გ.-ს მოსამართლესთან არ სურდა უბრალოდ კონსულტაციის გავლა, არამედ მისი მიზანი იყო კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის დახმარებით მიეღო მისთვის სასურველი შედეგი. ადვოკატი გაგზავნილ შეტყობინებებში მოსამართლეს უსახელებდა მოსარჩელის და მოპასუხის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, რაც იმთავითვე გამორიცხავდა მისი მოსამართლისადმი მიმართვის აბსტრაქტულობას და მხოლოდ პრაქტიკის შესახებ განმარტებების მიღების სურვილს, ამასთან გ. გ. მოსამართლე ე. გ.-ს პირდაპირ სთხოვდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიერ მოსამართლე ე. გ.-სთან 2019 წლის 15 იანვარს განხორციელებული კომუნიკაციით არსებობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევის ნიშნები, რაც ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი გახდა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ადვოკატი გ. გ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგენდა საკასაციო საჩივრის ავტორის - მ. მ.-ს ინტერესებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ადვოკატის განმარტება (პარ. 2.6.);*
- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის განკარგულება №კო-XX-XX.*

4.2 მ. მ.-ს საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლე ბ. ა.-ს განსახილველაად გადაეცა 2019 წლის 11 იანვარს. მოსამართლე ე. გ. წარმოადგენდა საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთ წევრს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის განკარგულება №კო-XX-XX.

4.3 ადვოკატ გ. გ.-ს მობილური ტელეფონის ნომერია (+995) 5XX XX XX XX ხოლო მოსამართლე ე. გ.-ის მობილური ტელეფონის მომერია (+995) 5XX XX XX XY.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის განკარგულება №კო-XX-XX;*
- *ადვოკატ გ. გ.-ს წერილობითი განმარტება.*

4.4 ადვოკატმა გ. გ.-მ 2018 წლის 24 დეკემბერს, 9:49 სთ-ზე მისი მობილური ტელეფონის ნომრიდან გააგზავნა ე. გ.-ის ნომერზე შემდეგი შეტყობინება: „მოგესალმებით ქალბატონო ე... თქვენთან კონსულტაცია მჭირდება, იქნებ მიმიღოთ შეხვედრაზე, პატივისცემით გ. გ., ადვოკატი, უფლებადამცველი. arasmotrganiz.a..i. s. o..“

2019 წლის 15 იანვარს, ადვოკატმა გ. გ.-მ მოსამართლე ე. გ.-ს 8:58 საათზე გაუგზავნა შემდეგი შეტყობინება: „თქვენ კარგად მიცნობთ, ამ ხელისუფლების მოყვანაში და მხარდაჭერაში ჩემი წვლილი მაქვს... როგორც პიროვნულად, ისე ორგანიზაციით... ქალბატონ ნ. გ.-საც გვერდში ვედექი, ხშირად ვესწრებოდი სხდომებს უზენაესში საკონსულტაციო, სამეცნიერო საბჭოს ფარგლებში“... 09:13სთ-ზე ადვოკატი წერს „ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ რა... თუ არ გცალიათ, რომ შევხვდეთ... კასაციაშია საქმე... მოსარჩელე მ. მ.-ს - წარმომადგენელი გ. გ.... მოპასუხე სსიპ ქ.ს მ.-ის ს.... და დაგვიკმაყოფილოთ საკასაციო საჩივარი, ძაან გთხოვთ რა... ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები... პატივისცემით კეთილი სურვილებით გ. გ., ვცდილობ მეც გავხდე მოსამართლე.“

2019 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 16:00-17:00 შუალედში, როდესაც მოსამართლე კოლეგებთან ერთად იმყოფებოდა სამუშაო შეხვედრაზე, მის მწერალ-თანაშემწეს ს. შ.-ს სამსახურის ტელეფონის შიდა ნომერზე დაუკავშირდა ადვოკატი გ. გ. და ითხოვა მოსამართლესთან შეხვედრა. მას შემდეგ რაც, თანაშემწის მიერ არაერთგზის განემარტა, რომ მოსამართლე არც ადვოკატებს და არც მხარეებს შეხვედრაზე არ იღებს და ვერ შეხვდებოდა, გ. გ.-მ დატოვა სასამართლოს შენობა.

გ. გ.-ს განხორციელებული აქვს ზარები მოსამართლე ე. გ.-ის ტელეფონის ნომერზე - 2018 წლის 24 დეკემბერს გ. გ.-ს ნომრიდან შესული ზარი 61 წამი გრძელდებოდა და რეკავდა ზედიზედ სამჯერ, ხოლო 2018 წლის 28 დეკემბერს შესული ზარი 54 წამის განმავლობაში რეკავდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის განკარგულება №კო-XX-XX;*
- *2019 წლის 16 იანვრის მოსამართლე ე. გ.-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ.*

4.5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის 2019 წლის 29 იანვრის განკარგულებით, ადვოკატ გ. გ.-ს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ე. გ.-ისათვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72[1] მუხლის გათვალისწინებით მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებელ ფორმად დადგინდა; ადვოკატი გ. გ. მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევისთვის დაჯარიმდა 200 ლარით

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ს. ი. უ. ს.-ს მომართვა;*
- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის განკარგულება №კო-XX-XX;*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ადვოკატი გ. გ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ე. გ.-ს დაუკავშირდა კონკრეტულ საქმის არსებით საკითხზე კონსულტაციის მისაღებად, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი:

> *„ადვოკატი არ უნდა შეხვდეს ან დაუკავშირდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა".*

6.2 ადვოკატმა კლიენტის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული საშუალებები, დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად მოსამართლის მიმართ რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე ნებისმიერი ზეგავლენის განხორციელების აკრძალვას ან იმის შთაბეჭდილების შექმნას, რომ რადგან სასამართლო ახორციელებს ცალკე კომუნიკაციას მხარესთან ან მის წარმომადგენელთან, ის მიკერძოებულია. ექსპარტე კომუნიკაციაის დაუშვებლობა სასამართლოს მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის და მართლმსაჯულებადმი ნდობის არსებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

6.3 „ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამდენად, ისინი თამაშობენ საკვანძო როლს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასამართლოები, რომელთა მისია ფუნდამენტურია კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში, საზოგადოების თვალში ნდობით სარგებლობდნენ" (იხ. Schöpfer v. Switzerland, 20.05.1998 §29-30; Nikula v. Finland, N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42).

6.4 ექსპარტე კომუნიკაციის აკრძალვა საქმის განმხილველ მოსამართლესთან მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი პრინციპია და გამომდინარეობს ერთის მხრივ: მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპიდან - კონსტიტუციის 62.5 მუხლი (ძველი რედაქციით 85.3 მუხლი), მეორეს მხრივ, საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორცილების აღქმის დამკვიდრების საჭიროებიდან.

6.5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 85.3 მუხლის განმარტებისას დაადგინა, რომ *„თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თანასწორობა შეჯირებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის*

პრინციპიდან გამომდინარე უფლებები - საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. 29.09.2015, პარაგრაფი 19). ექსპარტე კომუნიკაციის შედეგად მეორე მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, უარყოს ან სხვანაირად გააქარწყლოს მხარის მიერ მოსამართლისთვის მიწოდებული ინფორმაცია, შესაბამისად იზღუდება შეჯიბრებითობის და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი.

6.6 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72[1]-ე მუხლის პირველ ნაწილში კონკრეტულად არის მითითება, პროცესის მონაწილის მხრიდან კომუნიკაციის აკრძალვაზე „იმ მოსამართლესთან, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.“ მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობის პრინციპი ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს, იქნება ეს რჩევის მიღება თუ დახმარების თხოვნა, ან უბრალოდ ინფორაციის მიწოდება საქმესთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე. არ აქვს მნიშვნელობა კომუნიკაცია ცალმხრივია თუ ორმხრივი, ის განხორციელდა, თუ ადგილი ჰქონდა მხოლოდ მის მცდელობას. ზოგადად სავარაუდოა მოსამართლესთან კომუნიკაციის მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი, რადგან მოსამართლეებს ეკრძალებათ უკანონო კომუნიკაციაში ჩართვა. „საუბარია არა მარტო საქმიან შეხვედრებზე, არამედ მეგობრულ და არასაქმიან გარემოში შეხვედრებზეც, რომლის დროსაც ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მოსამართლესთან კონკრეტული საქმის განხილვისა და მასზე საუბრისგან“ (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013წწ. ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, 2013, გვ. 119)

6.7 ადვოკატმა განსაკუთრებით უნდა დაიცვას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი სტანდარტი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსი, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოსამართლესთან კომუნიკაცის წესის დარღვევას აფასებს ადვოკატის ეთიკურ გადაცდომად. შესაბამისად, ზოგადი აკრძალვა ექსპარტე კომუნიკაციის კიდევ უფრო მკაცრია ადვოკატებთან მიმართებით, ვინაიდან ის უკავშირდება ადვოკატის მაღალ სტატუსს და მის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადვოკატები წარმოადგენენ თვითრეგულირებად პროფესიას, ისინი მონაწილეობენ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაში და მათთვის კარგად ცნობილი უნდა იყოს მოსამართლესთან ექსპარტე კომუნიკაციის დაუშვებლობა და საქმის შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დაცვით განხილვის მნიშვნელობა.

6.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები უდაოა. ისინი ასევე დასტურდება 2019 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ

მიღებული განკარგულებით, რომლის მიხედვით დადგინდა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ საერთო სასამართლოების შესახებ კანონით დადგენილი მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევა.

6.9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ საქმის განმხილველი კოლეგიის თავმჯდომარეა მოსამართლე ბ. ა., ხოლო მოსამართლე ე. გ. წარმოადგენს საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთ წევრს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმე განიხილება კოლეგიურად - სამი მოსამართლის შემადგენლობით და გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიურად, პროცესის მონაწილის მხრიდან კომუნიკაციის დაუშვებლობა ვრცელდება თითოეულ მათგანთან. მიუხედავად ამისა, ადვოკატი გ. გ. მოსამართლე ე. გ.-სთან გაგზავნილ შეტყობინებებში, პირდაპირ მიუთითებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივრის მხარეებს და მისთვის სასურველ შედეგს (პარაგრაფი 4.3). შესაბამისად, ადვოკატის მიზანი ამ მოქმედებების განხორციელების დროს იყო კონკრეტულ საქმეზე მოსამართლისთვის ინფორმაციის მიწოდება და მისი დახმარება საქმეზე ადვოკატისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

6.10 განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მხედველობაში მიიღო ადვოკატის აღიარება და მიაჩნია, რომ ადვოკატმა საქმის განმხილველი კოლეგიის წევრი მოსამართლისათვის შეტყობინებების გაგზავნით დაარღვია „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტი, მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

6.11 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.13 განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში, ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ, როგორც დისციპლინური საქმის საპროცესო ეტაპზე, ასევე განხილვის ეტაპზეც აღნიშნა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას, მოსამართლისათვის შეტყობინებების გაგზავნით კანონის დარღვევის თაობაზე და შექმნილი მდგომარეობისთვის მზად არის ბოდიში მოუხადოს მოსამართლე ე. გ.-ს. განხილვის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ აღიარებს ჩადენილ გადაცდომას და მას ინანიებს.

6.14 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ადვოკატის პიროვნულ მახასიათებლებს (იგი კორექტულია მიმოწერაში და პატივისცემას გამოხატავს მოსამართლის პიროვნების მიმართ) და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს (მან აღიარა და მოინანია ჩადენილი გადაცდომა) და მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ გ. გ.-ს წანაღმდეგ, რადგან ეს მის წინააღმდეგ საჩივრით მიმართვის პირველი შემთხვევაა. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: ადვოკატის მხარიდან პროფესიული ვალდებულებების გათვითცნობიერების ხარისხის ამაღლება და მომავალში ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედებისგან თავის შეკავების სტიმულირება.

6.15 განხილვის კოლეგის ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, რა მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს, კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის .

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N027/19 გ. გ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/